სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

მოგასხენებთ, რომ შპს „ნახიდური ჰესი“ (400207049) ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, მდ. ხრამზე გეგმავს 7.5 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნახიდური ჰესი“-ს მშენებლობას და ექსპლუატაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწვეტილება (25.08.2020 N2-758).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ დაიწყო პროექტის დეტალურ დიზაინზე მუშაობა. შესაბამისად, საჭირო გახდა სხვადასხვა საკითხის დაზუსტება. დეტალური პროექტირებისას საჭირო გახდა მილსადენის ბუფერის მცირედით (მაქსიმუმ 10 მ.-მდე) გაფართოვება, ჰესის შენობის ფართობის გაზრდა, ჰესის შენობამდე მისასვლელი გზის მოწყობა და მდ. ხრამის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს შორის გადასაადგილებლად დროებითი მილხიდის მოწყობის გათვალისწინება, რომელიც მოემსახურება მხოლოდ ჰესის სამშენებლო სამუშაოებს მშენებლობის ეტაპზე. საპროექტო ცვლილებებით, ასევე ჰესის შენობის წარეცხვისაგან დაცვის მიზნით მოეწყობა ნაპირსამაგრი ნაგებობა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საპროექტო ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- „ნახიდური ჰეს“-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიში - ელ. ვერსია;
- საპროექტო ცვლილებების Shp ფაილები.

პატივისცემით,

თენგიზ ალავიძე
შპს „ნახიდური ჰეს“-ის
დირექტორი

30.09.2022

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„30“ 09 2022 წ.
№ 5270